დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ფრიდონ გოგიაშვილი

წევრები:

ქრისტინა რზგოევა

ევგენი გუგულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

ბათუმი 2018წ.

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ 2018 წლის 19 მარტს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი #304316) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების განხორციელების მოსაპოვებლად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის #404 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ფრიდონ გოგიაშვილი -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე)

ბ) ევგენი გუგულაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი(წევრი)

გ) ქრისტინე რზგოევა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)

ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობაზე დაკვირვება დაევალა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს კახაბერ ერაძეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დროულად მიეწოდა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი მასალების სრული პაკეტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან და დადგენილ ვადაში წინასწარ მიეწოდა დაწესებულებას. ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 11,12 და 13 ივნისს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართზე ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი #53.

2018 წლის 11 ივნისს, ვიზიტის პირველ დღეს, შედგა შეხვედრა სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. იმავე დღეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა დაწესებულებაში პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული დოკუმენტაცია. მათ შორის პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომელიც მატერიალური სახით ინახება პროგრამების განხორციელების ადგილზე. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტი ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დაურიგდათ ვიზიტის დაწყების წინ რამდენიმე დღით ადრე, ჯგუფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

დოკუმენტები წინასწარ შესწავლილი ჰქონდა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მუშაობა ძირითადად წარიმართა ადგილზე არსებული გარემოებების შესწავლის კუთხით და იმ საკითხების ირგვლივ, რომელთა მიმართ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ გარკვეული კითხვები და მოსაზრებები. აღნიშნულ კითხვებზე ექსპერტებმა მოისმინეს პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული თანამდებობის პირების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებები. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს დღის განმავლობაში გაწეული მუშაობა პროგრამის განმახორციელებელ პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

სამუშაო ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკადემიაში პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აკადემიაში განხორციელებული პროფესიული პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოხდა სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტების დათვალიერება, მატერალური ბაზის შემოწმება და გასაუბრება პრაქტიკის განმახორციელებელ პერსონალთან (ბათუმის საზღაო სატვირთო პორტი, სატვირთო ტერმინალი, საზღვაო ტექნიკური მომსახურების სამსახური) დღის განმავლობაში ასევე ადგილზე შემოწმებული იქნა პროფესიული პოგრამების განხორციელებისათვის საჭირო ბიბლიოთეკის ფონდი.

განხორციებული ვიზიტის მესამე დღეს შერჩევით შემოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის დოკუმენტაცია. შედგა გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და დაიწყეს მუშაობა დასკვნის პროექტზე. შეათანხმეს ძირითადი საკითხები, რომელიც აისახება დასკვნის პროექტში. ვიზიტის ბოლოს შედგა დასკვნითი შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პასუხისმგებელ პირებთან და სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო აკადემიის ადმინისტრაციასთან, სადაც შეჯამდა სამი დღის მუშაობის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი დაასრულა 2018 წლის 13 ივნისს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით (მისამართების მიხედვით)
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (მილევადი)	III	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	79	94	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	7	15
2	ამწის ოპერირება	III	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	46	61	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	12	20
3	შედუღება	III	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	24	45
4	ამწის ოპერირება	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	76	91	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	10	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

5	შედუღება	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	79	109	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	22	27
6	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება	IV	მეოთხე ˙საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	5	10
7	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	V	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	51	81	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	8	10
8	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია	V	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში 040780	88	118	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	18	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	III	გემბანის რიგითი მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	22	22
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	III	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	23	23

აღნიშნული ცხრილები წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	✓	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	✓	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	✓	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	✓	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	✓	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ბათუმი 2018წ.

	განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	✓	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	✓	
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	✓	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	✓	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	✓	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	✓	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)	✓	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	✓	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	✓	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს;	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	✓	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	✓	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	✓	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	✓	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	✓	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____ მათუები 2018წ.

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	✓	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი საბოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	✓	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	✓	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	✓	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	✓	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	✓	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების და სასწავლო პროცესის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი -ბათუმის საზღვაო აკადემიაში შექმნილი არის ცალკე სტუქტურა-პროფესიული მომზადების ცენტრი, რომელიც მოქმედებს დაწესებულების სენატის მიერ დამტკიცებული დებულებით და ახდენს აკადემიის მიერ პროფესიული განათლების კუთხით განხორციელებული აქტივობების ადმინისტრირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

- სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის საზღვაო აკადემია მონოპროფილური დაწესებულებაა, რაც საშუალებას იძლევა ძირითადი ყურადღება დაეთმოს საზღვაო ტრანსპორტის კუთხით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.
- დაწესებულებას აქვს საერთაშორისო ISO-ს სერტიფიკატი, ხარისხის მართვის სისტემა და მნიშვნელოვანი სამუშაოები არის ჩატარებული და მიმდინარეობს ამჟამადაც საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების კუთხით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში ხარვეზები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში არ დაფიქსირებულა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ადგილზე გარემოებების შესწავლის დროს დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტზე აღირიცხება სტუდენტთა დასწრება, მაგრამ არ ხდება პრაქტიკის პერიოდში განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა. იმისათვის რომ სტუდენტმა შეძლოს თავისი მიღწევების მონიტორინგი პრაქტიკის პერიოდში, პროფესიულ მასწავლებელს მიეცა რეკომენდაცია შეიქმნას სპეციალური ჟურნალი, სადაც მოხდება სტუდენტის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა და განმავითარებელი შეფასება.
- იმის გამო, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პროფესიული განათლების განვითარებისათვის სასურველი იქნებოდა სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით ცალკე ქვესტრატეგიის ჩამოყალიბება
- მიზანშეწონილია შემუშავდეს ბიბლიოთეკიდან გატანილი საგანმანათლებლო რესურსის კონტროლის და უკან დაბრუნების ეფექტური მექანიზმები
- ვინაიდან ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტებს წარუდგინეს ერთ- ერთი პროგრამის ძველი ვერსია, რომლის შესწავლაზეც მნიშვნელოვანი რესურსი დაიხარჯა, რეკომენდირებულია დაწესებულებამ დახვეწოს დოკუმენტბრუნვის წესი და პრაქტიკა, რათა შეცდომით არ მოხდეს უკვე ძალადაკარგული დოკუმენტაციის გამოყენება ავტორიზაციის, მითუმეტეს კი სასწავლო პროცესში.
- რეკომენდირებულია შმუშავდეს და დამტკიცდეს სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ უზრუნველყოფას, გააუმჯობესებს აღრიცხვიანობას და შესაძლებელს გახდის ეფექტიანობის ანალიზს ამ კუთხით.
- სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში საზღვაო სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაიწეროსსწავლების შესაბამისი მეთოდები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოდულის განხორციელებისას და შეფასებისას. დაწესებულებამ ბოლომდე მიიყვანოს პროგრამის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ბათუმი 2018წ.

მოდულის ადაპტირების პროცესი და შექმნას ეფექტური მექანიზმები მათში შესაძლო ტექნიკური და სხვა ტიპის ხარვეზების არსებობის პრევენციის მიზნით.

- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი -ბათუმის საზღვაო აკადემიას მიეცა რეკომენდაცია, რომ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის და უსაფრთხოების კონტროლის სამსახურის თანამდებობებზე პირების დანიშვნის კრიტერიუმები გაიწეროს უფრო მკაფიოდ და კონკრეტული საკვალიფიკციო მოთხოვნების გათვალისწინებით.
- სასურველია პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღინიშნოს თუ რომელი პროგრამის რა კომპონენტი უნდა ასწავლოს განახორციელოს პროფესიულმა მასწავლებელმა.
- დაწესებულებამ საქმის წარმოების ერთიანი წესების დაცვით უზრუნველყოს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაცია;
- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შედგენილი პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებლების და დამსაქმებელთა გამოკითხვისათვის გამოყენებული კითხვარები დაიხვეწოს შინაარსობრივად, რათა შინაარსი შეესაბამებოდეს კვლევის მიზანს. გაიწეროს შესაბამისი პროცედურა და კვლევის მეთოდოლოგია სოციოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ ბოლომდე გამიჯნოს პროფესიული და აკადემიური პროგრამების განხორციელების რეგულაციები, ასევე თითოეული პროცესისათვის დეტალურად გაწეროს არა მხოლოდ პრინციპები, რაც კანონმდებლობით ისედაცაა დადგენილი, არამედ მათი აღსრულების პროცედურები.
- პროფესიულ განათლებაში მიმდინარე დინამიურ პროცესებზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ გადახედოს პროგრამების დამტკიცების გართულებულ პროცედურებს, გახადოს უფრო მოქნილი და ოპერატიული. განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს სენატის კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ნაწილში.
- დაწესებულებამ პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, დადგენილი წესით გამოსცეს აქტი პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში და არ დაამტკიცოს ის ახალი პროგრამების სახით.
- არსებული პროგრამების გაუქმებისა და ახალი პროგრამების დამტკიცების შემთხვევაში განახორციელოს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და ავტომატურ რეჟიმში არ გააგრძელებინოს მათ სწავლა ახალ პროგრამაზე.
- სტუდენტებისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს სენატი, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით სენატს ასეთი მანდატი არ გააჩნია. დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო ან ინიციატივით მიმართოს ეკონომიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

სამინისტროს წესდებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შესახებ, რაც სენატს მისცემს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების უფლებამოსილებას.

- დაწესებულებამ შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ სიმულატორებში ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც მიახლოებული იქნება რეალურად დასაქმების ადგილებში გამოყენებულ ტექნიკასთან, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში გაზარდოს პრაქტიკის ობიექტებზე რეალურად არსებული ტექნიკის ოპერირების კომპონენტი.
- დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში მისდევს არსებულ პრაქტიკას. რეკომენდირებულია ამ მიზნით გაიწეროს ფორმალური პროცედურა.
- კატალოგი ფორმალურად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ის არ აღიქმება როგორც ერთიანი დოკუმენტი. ის დაფრაგმენტებულია პროგრამების მიხედვით, ელექტრონული ფაილების სახით, სასურველია დაწესებულებამ გაიზიაროს საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გამოცდილება კატალოგის ფორმატთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

VII. დაწესებულების მისია

სასწავლო უნივერსიტეტი- ბათუმის საზღვაო აკადემიის მისია შემუშავებულია ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით და მისიის რედაქცია დამტკიცებულია საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 14 მარტის №4/2 გადაწყვეტილებით.

საზღვაო აკადემიის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის საზღვაო სექტორის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. შეინარჩუნოს და განავითაროს საზღვაო ინდუსტრიასა და მომიჯნავე სფეროებში მაღალკვალიფიციური პერსონალის მომზადების ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული უმაღლესი, პროფესიული და უწყვეტი განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსი. იხელმძღვანელოს დემოკრატიის და ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობის და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლების და კვლევის აკადემიური თავისუფლება. განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატებების მისაღწევად ითანამშრომლოს სტუდენტებთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლეთან, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან, საზოგადოების სხვა დაინტერესეულ პირებთან. გააძლიეროს და განაახლოს საერთაშორისო კომუნიკაცია და პარტნიორული თანამშრომლობა, განავითაროს საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია.

სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკდემიის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნები შეესაბამება საზღვაო აკადემიის მისიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

სტანდარტების შეფასება

✓ საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი იქნა ათი პროფესიული პროგრამა. მათ შორის ორი შედგენილი არის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე(საგნობრივი პროგრამები) ხოლო რვა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შედგენილი მოდულური პროგრამებია.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცეული დებულების-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (ND2-F13) შესაბამისად.პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკკიცებულია საზღვაო აკადემიის სენატის მიერ.
(გადაწყვეტილება №5/7 04.04.2018წ). დაწესეულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა.პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები,პროგრამის მოცულობა,სწავლის შედეგები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი მოქმედი კანონმდებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

ბათუმი 2018წ.

შესაბამისად.პროგრამების განხორციელების ადგილად განსაზღვრულია ქ.ბათუმი რუსთაველის გამზირი 53.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით იმისათვის, რომ პროფესიულ განათლებაში მიმდინარე დინამიურ პროცესებთან დაკავშირებით მოხდეს დროული რეაგირება, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გადახედოს პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების გართულებულ პროცედურებს, გახადოს უფრო მოქნილი და ოპერატიული, განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს სენატის კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ნაწილში. პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში დაწესებულებამ დადგენილი წესით უნდა გამოსცეს აქტი და არ დაამტკიცოს ის ახალი პროგრამის სახით.

პროგრამების მოცულობა განსაზღვრულია პროფესიულ კრედიტებში და შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოცულობას.განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგები.შინაარსობრივად სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროფესიული პროგრამების ჩარჩო დოკუმენტთან.პროგრამების სწავლის შედეგები იძლევა იმის საშუალებას,რომ სტუდენტს შეექმნას წარმოდგენა,თუ რას მიაღწევს ის პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროგრამით განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია და შეესაბამება პროფესიული პროგრამების ჩარჩო დოკუმენტს, პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმის შემოწმეამ აჩვენა,რომ სასწავლო მოდულების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა დამოუკიდეელი საათების ჩათვლით.

სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები წინასწარ შემუშავებული არ არის,თუმცა არსებობს შესაბამისი მექანიზმები და გარემო საჭიროების შემთხვევაში ასეთი გეგმების შექმნისათვის(ასევე არსებობს ადაპტირებული გარემო)

საგნობრივი პროფესიული პროგრამების-სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა დოკუმენტების პაკეტი, რომელიც დამტკიცებული იყო 2014 წელს, ხოლო ფაქტიური მდგომარეობით დამტკიცებული იყო 2018 წელს, შეცდომა გამოსწორეულ იქნა და წარმოდგენილ იქნა პროგრამების ახალი ვერსიები.

ზემოთაღნიშნული ფაქტის გამო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ უნდა მოხდეს ძველი და განახლებული დოკუმენტების გამიჯვნა და დაარქივება.უფრო მკაცრი კონტროლი დაწესდეს საქმის წარმოების ან ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით.

პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე რეალურ პირობებში.პროგრამების განხორციელების ადგილზე შემოწმებულ იქნა მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: შ.პ.ს ,,მბმ"; შ.პ.ს ,,ზღვის პროდუქტი";

,,საქართველოს მეთევზეთა კავშირი 2015"; შ.პ.ს ,,პალიასტომი'' ; შ.პ.ს ,,საზღვაო ტექსერვისი''; შ.პ.ს ,,მმს გრუპი"; შ.პ.ს ,,ბარიკო M"; შ.პ.ს ,,აჭარასპეცპროექტი"; შ.პ.ს ,,დათა-საბა"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ვიზიტის დროს არჩევითი პრინციპით მოინახულეს პრაქტიკის რამდენიმე ბაზა. კერძოდ: 1) ქ. ბათუმის საზღვაო პორტი, სადაც ხორციელდება მესამე და მეოთხე საფეხურის ამწის ოპერატორის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკაზე გატარება. ექპერტებმა დაათვალიერეს სატვირთო ამწე, სადაც ხორციელდება პრაქტიკა. ამწეზე არის ყველანაირი სამუშაო პირობები, რათა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს რეალურ ვითარებაში განახორციელოს ამწის ოპერირება. ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს, დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტზე ერთდროულად შეიძლება მაქსიმუმ რვა სტუდენტის გატარება. გასაუბრების და დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნულ ბაზებზე არის სამუშაო პირობები პროფესიული სტუდენტებისათვის და მზაობა მათი მიღებისთვის. 2) სატვირთო გემი "CADET" (IMO 7634202), სადაც ხორციელდება გემბანის რიგითი მეზღვაურის და სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკაზე გატარება. ექსპერტებმა დაათვალიერეს გემის გემბენი და სამანქანე ნაწილი, სადაც ხორციელდება პრაქტიკა. გემზე არის ყველანაირი სამუშაო პირობები, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა შეძლონ რეალურ ვითარებაში განახორციელოს როგორც გემბანის რიგითის, ასევე სამანქანო რიგითის სამოშაოები. ექსპერტების ვიზიტის დროს გემზე იმყოფებოდა რამდენიმე პროფესიული სტუდენტი, რომლებიც გადიოდნენ პრაქტიკას. ექსპერტები დაესწრნენ გემის ღუზის ჩაშვება ამოღების პროცესს, რომელიც განახორციელეს სტუდენტებმა. ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს და სტუდენტებს. დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტზე ერთდროულად შეიძლება მაქსიმუმ რვა სტუდენტის გატარება. პროფესიული მასწავლებლები და სტუდენტები გვესაუბრნენ სწავლების არსებულ მეთოდებზე, შეფასების სისტემაზე. ექსპერტებმა ნახეს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ფურცლები პრაქტიკის განხორციელების შესახებ.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, აკადემიის ტერიტორიაზე მოწყობილია რამდენიმე სიმულაციური გარემო. აკადემიას გააჩნია ორი სიმულატორი: ამწის ოპერატორის, თევზსაჭერი გემის ნავიგაციის. სიმულატორები არის თანამედროვე, მაღალი ხარისხის სიმულატორები, სადაც სტუდენტები გადიან რეალურ საწარმოო გარემოსთან მიახლოებულ სიმულაციურ პრაქტიკას. ამწის ოპერატორის სტუდენტებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ ეფექტურად იყენებენ სიმულატორებს თუმცა მასში არსებული ამწის მოდელები მომავალი დასაქმების ადგილზე პრაქტიკულად არ არსებობს. ექსპერტები დაინტერესდნენ თუ იყო შესაძლებელი სიმულატორების პროგრამაში დაინსტალირებულიყო ისეთი მასალა, რომელიც მიახლოებული იქნებოდა საქართველოს პორტებში არსებული სხვადასხვა ტიპის ამწეებისა და საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გემების რეალურ სიტუაციებთან. ცხადია სიმულატორებში ასეთი პროგრამების არსებობა და მათზე სიმულაციურ გარემოში გავლილი პრაქტიკა პროფესიულ სტუდენტებს მომავალში გაუადვილებდა რეალურ სამსახურში ნარმატებულ ინტეგრაციას. ამის გათვალისწინებით აკადემიას მიეცა რეკომენდაცია: დაწესებულებამ შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ სიმულატორებში ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც მიახლოებული იქნება რეალურად დასაქმების ადგილებში გამოყენებულ ტექნიკასთან. იმ შემთხვევაში, თუ სიმულატორებზე ასეთი პროგრამების ჩაწერა შეუძლებელია, მაშინ თუ ეს შესაძლებელია გაზარდოს პრაქტიკის ობიექტებზე რეალურად არსებული ტექნიკის ოპერირების კომპონენტი. აკადემიაში ასევე მოწყობილია რამდენიმე საამქრო: ელექტრო სამონტაჟო, საშემდულებლო და საზეინკლო. თითოეულ ამ საამქროს ჰყავს პრაქტიკის ხელმძღვანელი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მუშაობას საამქროებში. სამივე საამქრო აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყოთი და მასალებით, შესაბამისად სტუდენტები გადიან სრულფასოვან პრაქტიკას. ექსპერტები დაინტერესდნენ თუ როგორ ხდება სტუდენტების შეფასება მათი პრაქტიკაზე მუშაობის დროს. დადგინდა, რომ საამქროებში ხორციელდება სტუდენტების მხოლოდ დასწრება/არ დასწრების აღრიცხვა, ხოლო სტუდენტების ყოველდღიურიმუშაობის შედეგებზე განმავითარებელი შეფასება ხდება ზეპირი სახით, არ ხდება მათი წერილობითი ჩაწერა. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საამქროებისათვის საჭირო მასალის მოთხოვნა ხორციელდება პროფესიული სწავლების ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. ეს მოთხოვნა იწერება ჩვეულებრივ თაბახის ფურცელზე და წარედგინება პროფესიული სწავლების უფროსს, რომელიც თავის მხრივ სპეციალური ბლანკის სახით წარუდგენს აკადემიის რექტორს.

1) დადგინდა, რომ სტუდენტებისთვის პრაქტიკაზე აღირიცხება მხოლოდ დასწრება-არდასწრება, მაგრამ არ აღირიცხება თითოეული სტუდენტის ყოველ პრაქტიკის დღეს პრაქტიკაზე განხორციელებული ქმედებები. არ არსებობს ასეთი ჩანაწერები არც სტუდენტების მხრიდან და არც პროფესიული პედაგოგების მხრიდან, ე.ი. სტუდენტი ვერ ახორციელებს პრაქტიკაზე საკუთარი შედეგების მონიტორინგს. პედაგოგებს მიეცა რეკომენდაცია, რომ შექმნან სპეციალური რვეული, ან ჟურნალი სადაც მოხდება ყოველ პრაქტიკის დღეს პრაქტიკაზე თითოეული სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ასეთი ჩანაწერები დაეხმარება სტუდენტს პრაქტიკის დროს მონიტორინგი ჩაუტაროს საკუთარ ქმედებებს.

2) სასურველია საამქროებისათვის საჭირო მასალების მოთხოვნისათვის შეიქმნას რაიმე სპეციალური ფორმა, რომელიც შეივსება პრაქტიკის პედაგოგის მიერ და შემდეგ წარედგინება პროფესიული სწავლების უფროსს. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში თითოეული მოდულური პროგრამის ძირითად დოკუმენტს ახლავს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). სილაბუსები შედგენილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, შესაბამისად მასში წარმოდგენილი სწავლების შედეგები შესაბამისობაშია ზოგადად ფორმულირებულ სწავლის შედეგებთან. სწავლების მოცულობა ადეკვატურია მისანიჭებელ კრედიტების რაოდენობასთან. სილაბუსებში მოცემული შეფასების მეთოდების ჩამონათვალი რელევანტურია, მხოლოდ პირდაპირ არის გადმოწერილი ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული სილაბუსებიდან. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პედაგოგებს, დადგინდა რომ სილაბუსები არაა ადაპტირებული საზღვაო აკადემიის საჭიროებების მიხედვით. შემთხვევით შეირჩა სამი პროგრამის სილაბუსები და აღმოჩნდა რამდენიმე შეუსაბამობები ადაპტაციის კუთხით. კერძოდ: 1) ამწის ოპერირების მე-3 და მე-4 საფეხურის მოდულში <u>მეწარმეობა 1</u>, არის ჩანაწერი: „თუ კურსი არ ისწავლება როგორც დამოუკიდებელი მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა, მოდულის განხორციელება რეკომენდებულია პროგრამის მეორე ნაწილში, როდესაც სტუდენტებს.....". 2) მოდულში <u>ინგლისური ენა</u> არის ჩანაწერი: „რეკომენდებულია სტუდენტმა მოდულთან დაკავშირებული ცოდნა გამოავლინოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით კოლეჯის აუდიტორიის პირობებში." ანალოგიური ჩანაწერები არის სხვადასხვა მოდულებში, რაც მიუთითებს რომ მუდულები არაა ბოლომდე ადაპტირებული.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

- ✓ ინტერვიურება
- ✓ ხელშეკრულებები პრაქტიკის გავლის შესახებ
- ✓ პროფესიული საგანმანათლელო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- ✓ პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND2-F13
- ✓ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკდემიის სენატის გადაწყვეტილება (№5/7 04.04.2018წ)

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

ბათუმი 2018წ.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლელო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი),რომელიც განთავსებულია ბათუმის საზღვაო აკადემიის ვებ გვერდზე: კატალოგში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, პროგრამის სახელწოდება, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული მოდულური პროგრამა ,მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია ,საკანონმდებლო გაზა, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლელობები, მიზანის, სწავლის შედეგები პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სპეციალური საგანმანათლლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე(შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის სასწავლო სტრუქტურის და საკონტაქტო პირის შესახებ. აქვე არის ინფორმაცია მატერიალური რესურსების, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების შესახებ.

კატალოგის განახლება ხდება ყოველწლიურად და ემთხვევა ახალ სასწავლო წელს.

ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გრაფაში საჭირო არის ინფორმაციის განახლება. კატალოგში შეტანილ ზოგიერთ პროგრამაში ზოგიერთ ადგილზე მითითებულია განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 121/ნ, ხოლო ზოგიერთ ადგილზე მითითებულია ჩანაწერი „დეტალურად გაწერილია მოდულში", უკეთესი იქნებოდა ჩამოყალიბებული იყოს ერთიანი მიდგომა და ერთიანი ფორმატი. კატალოგი ფორმალურად აღიქმება როგორც ერთიანი დოკუმენტი. ის დაფრაგმენტებულია პროგრამების მიხედვით, ელექტრონული ფაილის სახით. სასურველია დაწესებულებამ გაიზიაროს საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გამოცდილება კატალოგის ფორმატთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ბათუმი 2018წ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მატერიალური სახით.
- ✓ საზღვაო აკადემიის ვებ გვერდი http//www.bsma.edu.ge
- ✓ პროფესიული მომზადების ცენტრის ვებ-გვერდი

  http//www.bsma.edu.ge/sub-14/page/2-38/index.htmb

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან. კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული კვალიფიკაცია და პროფესიული კომპონენტები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დარგობრივი საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებთან. ვიზიტის განხორციელების პერიოდისათვის დაწესებულებაში პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სენატის მიერ, რომელიც მოქმედებს ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით. წესდებით ირკვევა, რომ სენატს ასეთი მანდატი არ გააჩნია. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაციაა დაწესებულებამ განსაზღვრიოს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო ან ინიციატივით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

მიმართოს ეკონომიკის სამინისტროს წესდებაში შესაბამისის ცვლილებების განხორციელების შესახებ, რაც სენატს მისცემს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების უფლებამოსილებას.

დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა. თუმცა მოდულები სრულიად არ არის ადაპტირებული და კოპირებულია სწავლების და შეფასების მეთოდები ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი მოდულების ჩანაწერებიდან.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასურველია, თუ მოდულში გათვალისწინებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები მეტად ადაპტირებული იქნება სწავლების შედეგებთან და შესაბამისი მოდულის შინაარსთან, მორგებული იქნება დაწესეულების და კონკრეტული მოდულის განმახორციელებლის მიდგომებთან.

ამასთან ერთად სასურველია დაწესებულებამ გამიჯნოს პროფესიული და აკადემიური პროგრამების განხორციელების რეგულაციები, ასევე თითოეული პროცესისათვის დეტალურად გაწეროს არა მხოლოდ პრინციპები, რაც კანონმდებლობით ისედაცაა დადგენილი, არამედ მათი აღსრულების პროცედურები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები
- ✓ პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესი
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი. ბათუმის საზღვაო აკადემიაში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამის) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. აღნიშნულ წესში გაწერილი არის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების , შეჩერების და შეწყვეტის , მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამის) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F13.(http//www.bsma.edu.ge/upload/2-%2df13.Pdf:
- ✓ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდება (www.bsma.edu.ge)

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

ბათუმი 2018წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტთა ინტერესების დაცვის და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში,შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფისათვის, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნული პროცესი გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. განახლეულია მემორანდუმები პარტნიორ სასწავლო დაწესებულებებთან. მემორანდუმებში მითითებულია კონკრეტულად რომელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფაა შესაძლებელი აღნიშნულ სასწავლებელში.

სასურველია არსებული პროგრამების გაუქმებისა და ახალი პროგრამების დამტკიცების შემთხვევაში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და ავტომატურ რეჟიმში არ გააგრძელებინოს მათ სწავლა ახალ პროგრამაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვებ.გვერდი http//www.bsma.edu.ge

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემიას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ხარისხის შემოწმების ფორმები. აკადემიაში 2001 წლიდან დანერგილია ISO 9001 სტანდარტი. სისტემის განახლებაზე და მის ქმედითუნარიანობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელია ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებული მუშაობა ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურთან ქმნის საშუალებას,რომ წარმატებით განხორციელდეს ციკლის დაგეგმვა,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ეტაპები. შესაბამის ფუნქციებს პროფესიული მომზადების ცენტრში ასრულებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.პროფესიული ცენტრის მიერ შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პერსონალის,კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები,კითხვარები. პროფესიული საგანმანათლელო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე ეტაპს. პროფესიული სტუდენტების მიერ ხდება მოდულის და განმახორციელებელი პერსონალის შეფასება. გამოკითხვის შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი,პრობლემების იდენტიფიკაცია და რეკომენდაციების შემუშავება.იგეგმება შესაბამისი აქტივობები.გაუმჯობესებას მოითხოვს არსებული გამოთხვის ფორმების შინაარსი. კერძოდ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით კარგი იქნებოდა თუ კითხვარების შინაარსის შედგენისას მოხდება სოციალური კვლევების თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული პროგრამების შეფასების ფორმები
- ✓ ხარისხის სისტემის მენეჯმენტის ანალიზის შედეგების ანალიზი

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი 6004, რუსთაველის გამზირი № 53. აკადემია განთავსებულია აღნიშნული მისამართის რამდენიმე შენობაში, რომელიც მთლიანად არის სახელმწიფო საკუთრებაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. სამინისტროს 2014 წლის 29 სექტემბრის რეესტრის № 01-10/4380 წერილის საფუძველზე აღნიშნული შენობები საკუთრებაში გადაეცა აკადემიას, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიის ამონაწერიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.23.05.004). საზღვაო აკადემიის განკარგულებაში არსებული შენობა-ნაგებობების ფართია 16 865. 54 კვ.მ, აქედან სასწავლო მიზნებისთვის 9940.2 კვ.მ. და დამხამრე 6925.34 კვ.მ.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას საკუთრებაში გააჩნია შემდეგი მოძრავი ნივთი: 1) ავტობუსი „HYUNDAI COUNTY", რომელიც აკადემიამ შეისყიდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 28 სექტემბრის №230 ხელშეკულების საფუძველზე შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"-საგან. 2) სატვირთო გემი "CADET" (IMO 7634202), რომელიც ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ 2017 წლის 8 სექტემბერის № 5212 ბრძანების საფუძველზე უსასყიდლოდ გადასცა საზღვაო აკადემიას. 3) მსუბუქი მანქანა FIAT DOBLO (საინდეფიკაციო № ZFA22300005272865, გამოშვების წელი 2004), რომელიც 2014 წლის 18 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე კერძო პირმა აჩუქა საზღვაო აკადემიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	საქართველო, ქ. ბათუმი 6004, რუსთაველის გამზირი № 53	16 865. 54

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*
- ✓ *საკადასტრო აგეგმვითი/ზომვითი ნახაზი .*
- ✓ *მოძრავ ნივთებზე შესაბამისი ხელშეკრულებებით (უსასყიდლოდ გადაცემის, ჩუქების, შესყიდვის).*
- ✓ *მიღება/ჩაბარების აქტებით.*
- ✓ *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განკარგულებაშია სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, მოდულური პროგრამებისათვის განკუთვნილი A, B და C ტიპის გარემო, ასევე არის ადმინისტრაციისათვის და სასწავლო პროცესის მართვისათვის განკუთვნილი ოთახები. საზღვაო აკადემიას გააჩნია A ტიპის სასწავლო გარემო, რომლებიც განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის: ესენია სასწავლო კორპუსების კაბინეტები (107, 109, 121, 124, 126, 306, 308, 309, 310, 323, 325, 3002, 3003, 2, 3, 7, 11, 12, 14,15). B ტიპის სასწავლო გარემო, რომლებშიც განთავსებულია კომპიუტერული აუდიტორია აღჭურვილი კომპიუტერებით პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის, ასევე სადემონსტრაციო საშუალებები-სიმულატორები: 321, 323(A,B), 3002(A,B), 3003(A,B), 109(A,B), ამწის სიმულატორის კაბინეტი, შედუღების სიმულატორის კაბინეტი, მეთევზე-მეზღვაურის სიმულატორის კაბინეტი. C ტიპის სასწავლო გარემო, სადაც განთავსებული არის სპეციფიკური სასწავლო გარემო კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად: საშემდუღებლო საამქრო (A,B,C), სამანქანე დარბაზი (A,C), საზეინკლო საამქრო(A,C), სახარატო საამქრო, ხანძართან ბრძოლის სწავლების ტრენაჟერი, საწვრთნელი ცენტრის უსაფრთხოებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის სასწავლო კაბინეტები 1,2 (A,C). C ტიპის ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და აქ შესაძლებელია მოდულებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.
- ✓ სიმულატორების შეძენის კონტრაქტებით.
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.
- ✓ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ბათუმი 2018წ.

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განკარგულებაშია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. აკადემიას გააჩნია ელექტროენერგიის მოწოდების უწყვეტი სისტემა, სს „ენერგო-პრო-ჯორჯია"-ს ანგარიშზე სახაზინო წესით ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. ამის გარდა აკადემიას გააჩნია დიზელგენერატორი (მოდელი SKI6NVD 26A-2U), რომელიც საჭიროების შემთხვევაში აკადემიას უზრუნველყოფს ელექტროენერგიით.

საზღვაო აკადამია უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით, შპს „ბათუმის წყალ"-ის ანგარიშზე სახაზინო წესით ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. აკადემიის ტერიტორიაზე არსებული ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია წყლის მარაგით.

საზღვაო აკადამია უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირის უწყვეტი მომარაგებით, შპს, შპს „სოკარ ჯორჯია გაზ"-ის ანგარიშზე სახაზინო წესით ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. საზღვაო აკადემიის ბალანსზე ირიცხება გათბობის სისტემის 3 ცალი საქვაბე, მოდელი "ALARKO" (1 ცალი 550 000, 1 ცალი 600 000 და 1 ცალი 150 000 კილო/კ მოცულობის), რომელთა საშუალებითაც სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია გათბობით.

საზღვაო აკადემიაში არის სველი წერტილები, ცალკე მამაკაცებისთვის და ცალკე ქალბატონებისთვის. სსსმ პირთათვის არის ცალკე გამოყოფილი და სპეციალურად აღჭურვილი სველი წერტილი პირველ სართულზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საინვენტარიზაციო ჩამონათვალით.
- ✓ წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით.
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმებისას დადგინდა,რომ დაწესებულებას გააჩნია საკმაოდ კარგი რესურსი,როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით.ბიბლიოთეკას აქვს როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული კატალოგი,რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი აქტიური სტუდენტისათვის შესაბამისი რესურსის მოსაძიებლად. ბილიოთეკას აქვს კარგად მოწყობილი სივრცე შშმ პირებისათვის, შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით და წიგნის გამოთხოვის შესაძლებლობებით.განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. თუმცა ბიბლიოთეკას არ აქვს წიგნის გატანის შემდეგ მისი კონტროლის მექანიზმი. შერჩევით შემოწმდა სტუდენტის გ.ა მდგომარეობა,რომელსაც გატანილი ჰქონდა რამდენიმე წიგნი და ბიბლიოთეკაში მათი დაბრუნება არ მოუხდენია.ბიბლიოთკის ხელმძღვანელმა წარმოადგინა მიმმოწერა ადმინისტრაციასთან,სადაც აღნიშნულია,რომ რეგისტრაციაში არ გაეტარებინათ ის სტუდენტები,რომელთაც ჰქონდათ დავალიანება,თუმცა რეაგირება ხშირ შემთხვევაში არ ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შემუშავდეს ბიბლიოთეკიდან გატანილი რესურსის კონტროლის ეფექტური მექანიზმი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი
- ✓ ელექტრონულ მატარებლებზე ჩატვირთული სახელმძღვანელოები
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს,სამუშაოების უმეტესი ნაწილი სრულდება ელექტრონული რესურსების გამოყენებით.ამ მიზნით აკადემიის საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსი წარმოდგენილია 2 სერვერით, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული ოფისი, მკითხველთა ანკეტების მართვის ელექტრონული პროგრამა, საფინანსო პროგრამა (ORIS) ასევე მოქმედებაშია საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, პერსონალის სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის პროგრამა. აკადემიას აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები. აკადემიის ვებ გვერდი: (Bsma.edu.ge; bsma.ge); ელექტრონული ფოსტა (info@bsma.edu.ge);შიდა საკომუნიკაციო ოპროგრამა (vypress chat 2.1); კანცელარიის ელექტრონული საქმისწარმოება. სანავიგაციო სიმულატორები, საერთაშორისო საიბლიოთეკო ელექტრონული რესურსები. აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებში და პერსონალზე განაწილეულია 504 კომპიუტერი.სასწავლო პროცესში გამოიყენება 345 ერთეული კომპიუტერი. მათ შორის კომპიუტერულ კლასებში 77 ერთეული, მოდულური პროფესიული პროგრამებისთვის კლასებში 16 კომპიუტერი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დონორი ორგანიზაციების მიერ შესყიდული არის და დამონტაჟეულია სიმულაციური ტექნიკა და ტრენაჟორები.

დასტურდება:

- ✓ ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან,დომენი, ჰოსტინგი
- ✓ სიმულაციური ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

✓ საზღვაო აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი.„ საქმის წარმოების ერთიანი წესების" თანახმად წარმოებს გამოცემული აქტების და კორესპოდენციების აღრიცხვა ელექტრონული ფორმით. ვებ გვერდზე აღნიშნული წესის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ აქ განთავსებული იყო ორი დოკუმენტი: საქმის წარმოების წესი, რომელიც დამტკიცებული იყო 2012 წელს და ელექტრონული წარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია 2018 წელს. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებდა გადახედვას და გასწორებას.
სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემიაში არსებული პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემაში, სადაც წარმოებს პროფესიული სტუდენტების, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული ცენტრის თანამშრომლების და დამხმარე პერსონალის რეესტრი, განსაზღვრულია რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ სსიპ -სასწავლო უნივერსიტეტი -ბათუმის საზღვაო აკადემიის საქმის წარმოების წესი.

✓ ელექტრონული საქმის წარმოების წესი

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

ბათუმი 2018წ.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებულია საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება № 3/5, სადაც დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის დებულება ND 2-P16. აღნიშნულ დებულების მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებში სრულად და მკაფიოდაა გაწერილი დაცვის სამსახურის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესები.

ა) საზღვაო აკადემიაში ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურს უფროსი და ამ სამსახურის თანამშრომლები. საზღვაო აკადემიას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „სახანძრო უსაფრთხოება"-სთან (2015 წლის 21 სექტემბერი), რომელთა მიერ შედგენილია შენობის საევაკუაციო გეგმა და დატენილია ცეცხლაქრები.

ბ) საზღვაო აკადემიის შენობის ყოველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ამ გეგმის მიხედვით, ყოველ სართულზე, შესაბამის ადგილზეა განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ, ხელის ცეცხლმაქრები, რომლებიც დატენილია 2019 წლის ნოემბრამდე.

გ) საზღვაო აკადემიაში არსებობს სამედიცინო პუნქტი და საზღვაო აკადემიის უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის ექიმი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია პირველადი სამედიცინო დახმარების ჩასატარებლად. ექიმის უფლება/მოვალეობები გაწერილია უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის დებულება ND 2-P16-ის 8.3, 8.3.1, 8.3.2 პუნქტებში. საზღვაო აკადემიას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „ბიოიმპიანტი ჯორჯია"-სთან (2017 წლის 16 თებერვალი), რომლისგანაც შესყიდული აქვს სამედიცინო ტახტი. აკადემიას ასევე დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „ვალერიან"-თან, რომლისგანაც სისტემატიურად, ყოველი საჭიროების შემთხვევაში, ყიდულობს სამედიცინო მედიკამენტებს. შემთხვევით შეირჩა რამდენიმე მედიკამენტი, შემოწმებულია და ყველას აქვს ვარგისიანობის ვადა.

დ) საზღვაო აკადემიაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის უფროსი და მისი 12 თანამშრომელი. სამსახურის უფროსისა და მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....
ბათუმი 2018წ.

თანამშრომლების უფლება/მოვალეობები გაწერილია უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის დებულება ND 2-P16-ის მე-7 პუნქტში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, სასწავლო კორპუსების და აუდიტორიების შესასვლელები, დერეფნები, სველი წერტილები, პანდუსები ადაპტირებულია სპეციალურ გარემოსთან. საზღვაო აკადემიამ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 12 იანვრის №6 ხელშეკულების საფუძველზე შეისყიდა სსსმ პირებისათვის განკუთვნილი 2 ცალი ლიფტი, რომელთაგანაც ერთი უკვე დამონტაჟებულია. საზღვაო აკადემიის უსაფრთხოების და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აღმოუჩინონ ყველა საჭირო დახმარება. აკადემიის პირველ სართულზე მოწყობილია სველი წერტილი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური სახელურებით, რომელთა დახმარებითაც სსსმ პირებს შეეძლებათ სველი წერტილის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ უსაფრთხოების და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის დებულება ND2-P16
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით
- ✓ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....
ბათუმი 2018წ.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ძირითად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ვებ გვერდი. www.bsma.edu.ge ვებ გვერდი საკმაოდ ინფორმაციულია. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. გვერდი აღჭურვილია საძიებო სისტემით. მასზე ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. განსაზღვრულია ვებ გვერდის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი.

პროფესიული მომზადების ცენტრის სერვისების შესახებ ინფორმაციის ვებ გვერდზე გამოსაქვეყნებლად, ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირიდან მიეწოდება ვებ გვერდის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პიროვნებას. ის თავის მხრივ ახდენს მიწოდებული ინფორმაციის განთავსებას ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ დაწესებულების ვებ გვერდიhttp:/www.bsma.edu.ge
- ✓ საზღვაო აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებ გვერდის ადმინისტრირების წესი.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

ბათუმი 2018წ.

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. იმის გამო, რომ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია გადის ავტორიზაციის პროცესს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სტრატეგიული განვითარების გეგმამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ამავე დროს სტრატეგიული გეგმის საფუძველზე მიზნების და ამოცანების რეალიზების მიზნით, შემუშავებული იქნა სამწლიანი სამოქმედო გეგმა. იგი ითვალისწინებს მიზნის ეტაპობრივად მიღწევის საფეხურებს, შესრულების შუალედურ მაჩვენებლებს, შესრულების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იქნა სენატის მიერ 2018 წლის 23 თებერვალს (სენატის გადაწყვეტილება N3/1 23.02.2018წ) და განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებასაც იმ მიზნით, რომ დაწესებულებამ შრომის ბაზარს მიაწოდოს მაღალკვალიფიციური კადრები.

სტარტეგიული განვითარების გეგმა ასევე ითვალისწინებს საზღვაო აკადემიის განვითარებას, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება. რაც მათი ხედვით საშუალებას მისცემს დაწესებულებას განავითაროს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძვნებული პროფესიული განათლების ცენტრის სტატუსი.

პროფესიული განათლების მნიშვნელობის ზრდა აუცილებელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ დაწესებულების სტრატეგიულ განვითარების გეგმაში პროფესიულ განათლებასთან დაკაშირებული საკითხები ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ ქვესტრატეგიის სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების პროცესში მისდევს არსებულ პრაქტიკას. რეკომენდირებულია ამ მიზნით გაიწეროს ფორმალური პროცედურა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ დაწესებულების ვებ გვერდი http:/www.bsma.edu.ge
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ✓ საზღვაო აკადემიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____
ბათუმი 2018წ.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით დაწესებულებაში არსებობს პროფესიული მომზადების ცენტრი. ცენტრის საქმიანობა განისაზღვრება დებულებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით. ცენტრს ხელმძღვანელობს პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი. ცენტრი ანგარიშვალდებულია საზღვაო აკადემიის რექტორის წინაშე და რექტორის მოადგილის, რომელიც კურირებს პროფესიულ განათლების სისტემას . ცენტრის პერსონალი შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესს წარმართავენ მოწვეული მასწავლებლები, რომელთა შორის მეტი ნაწილი დარგის კვალიფიციური სპეციალისტია. თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილ მოთხოვნებს. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება კანინმდებლობით დადგენილი წესით.მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის დროს (შემოწმება მოხდა შერჩევით)გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული თუ კონკრეტულად რომელ მოდულზე იყო მოწვეული მასწავლებელი, ხელშეკრულება არ იყო დანომრილი. სასურველია, რომ მასწავლებელთა ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს მოდულის დასახელება და დაინომროს არსებული ხელშეკრულებები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული მასწავლებლები პერიოდულად გადიან ტრენინგებს, რომელსაც ატარებს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თუმცა საჭირო არის მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესში კიდევ უფრო გაიზარდოს მასწავლებელთა ცართულობა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოწყობილ ღონისძიებებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბათუმი 2018წ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული მომზადების ცენტრის დებულება
- ✓ პროფესიული მომზადების ცენტრის ტანამშრომელთა უფლება მოვალეობები
- ✓ პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები
- ✓ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.
- ✓ ინტერვიურება ადმინისტრაციულ, პროგრამების განმახორციელებელ და დამხმარე პერსონალთან.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესს ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (საზღვაო აკადემიის პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები). უმაღლესი განათლების ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 10 აპრილის N23 გადაწყვეტილებით გადაწყვეტილებით ბათუმის საზღვაო აკადემიას განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 215 პროფესიული სტუდენტით. ვიზიტის პერიოდში არსებული მონაცემებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობს 51

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბათუმი 2018წ.

მოწვეული მასწავლებელი. მათ აქვთ შესაბამისი უმაღლესი განათლება, ფლობენ პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლოდაწესებულების მართვის სისტემის მონაცემები (www.evet.emis.ge)
- ✓ ინტერვიუებით

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა/ დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროფესიული მომზადების ცენტრი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის რექტორს წარუდგინოს ინფორმაცია შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოწვევის აუცილებლობაზე. მოწვევა შესაძლებელია მოხდეს ღია კონკურსის მასწავლებელთა შერჩევის წესით ან კონკურსის გარეშე, ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით. მოწვეულ მასწავლებლებთან საზღვაო აკადემია აფორმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბათუმი 2018წ.

ხელშეკრულებებს. ხელშეკრულების ფორმები განთავსებულია იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტების მოქმედ ფორმათა კრებულში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმრბული შრომითი ხელშეკრულებები
- ✓ პროგრამის განმახორციელებელ პირების პირადი საქმეები

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

ბათუმი 2018წ.

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით (მისამართების მიხედვით)
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (მილევადი)	III	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	79	94	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	7	7
2	ამწის ოპერირება	III	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	46	61	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	12	20
3	შედუღება	III	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	24	45
4	ამწის ოპერირება	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 040779	76	91	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	10	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ბათუმი 2018წ.

5	შედუღება	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	79	109	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	22	22
6	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	5	10
7	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	V	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	51	81	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	8	10
8	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია	V	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში 040780	88	118	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	18	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	III	გემბანის რიგითი მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცი111051	60	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	22	22
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	III	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	რუსთაველის გამზირი № 53, ქ. ბათუმი	21	21

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ექსპერტთა შეხვედრის ოქმი;
დანართი 3. უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის დებულება ND2-P16
დანართი 4. სამსახურებრივი ბარათი მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ.
დანართი 5. თანამდებობრივი ინსტრუქციები

19.07.2018 წელი

.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმი 2018წ.